მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

მტკიცებულება, რომ პანდემია დაგეგმილი იყო

ასოციაცია „ექიმები სიმართლისათვის“

თბილისი 2020

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ჩვენ ბროშურაში "ცრუ პანდემია" უკვე გადმოვეცით ჩვენი დამოკიდებულება ე.წ. პანდემიასთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვირუსი არ არსებობს, როგორც ამას ცილისმწამებლურად გვაბრალებენ მსოფლიო ძალების პირისფარეშნი თუ ზოგიერთი გალიბერალებული სასულიერო პირი. პირიქით, ვამბობთ რომ ანტიქრისტეს ადეპტებმა ფრიად იზრუნეს იმისათვის, რომ კორონავირუსი SARS-CoV-2 (COVID-19) შექმნილიყო და გავრცელებულიყო მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება პანდემიას, ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ 2020 წლის 12 მარტისათვის, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა, არა თუ პანდემია, ეპიდემიის მასშტაბებიც არ იყო მიღწეული. ამის მიუხედავად, იმ მსოფლიო ძალების მიერ, რომლებმაც შექმნეს და გაავრცელეს ეს ვირუსი, პანდემია უკვე შეკვეთილი, მეტიც - ნაყიდი იყო და მათი გავლენის ქვეშ მყოფმა პოლიტიზირებულმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ეს დაკვეთა აღასრულა.

ხსენებულ ძალებს სურდათ, რომ ვირუსი რაც შეიძლება მომსვრელი ყოფილიყო და რასაც ღორისა და ქათმის ვირუსებით ვერ მიაღწიეს, ამ ახალი ვირუსით აღესრულებინათ. საბედნიეროდ ახლაც ყველაფერი ისე არ გამოუვიდათ, როგორც დაგეგმეს და სურდათ. ვირუსის ლეტალურობის მახასიათებლები დიდად არ სცილდება სეზონური გრიპისას: რიგ შემთხვევებში გართულებები უფრო მძიმეა, რიგ შემთხვევებში კი პირიქით – უფრო მსუბუქი. ამას ადასტურებს სტატისტიკა (თუნდაც ზედმეტად გაბერილი), ამასვე მოწმობენ მიუკერძოებელი იქიმები, მეცნიერები, ექსპერტები და სპეციალისტები.

წინამდებარე ბროშურაში დოკუმენტურად არის დასაბუთებული, რომ პანდემია ხელოვნურად არის შექმნილი და საუბარია იმ მიზნებზე, რისთვისაც ეს მოიმოქმედეს

მსოფლიო ძალებმა. ეს მიზნებია, კერძოდ: 1. სავალდებულო ვაქცინაციის შემოღება მსოფლიო მაშტაბით, რაც იქნება საყოველთაო ჩიპიზაციის წინა სახე და მოსამზადებელი ეტაპი. უკვე დაპატენტებული მეთოდები ვაქცინირებული პირების თვალთვალის საშუალებას იძლევა; 2. მსოფლიო მთავრობის შექმნა (თავდაპირველად შემოსაზღვრული უფლებებით) და მსოფლიოს მოსახლეობის კონტროლი; 3. მსოფლიოს მოსახლეობის შემცირება ე.წ. ოქროს მილიარდამდე (სხვა გეგმებით ნახევარ მილიარდამდე); 4. დიდი ფინანსური მოგების ნახვა ტრანსნაციონალური საფინანსო კორპორაციებისა და მათთან ასოცირებული ფარმაცევტული გიგანტებისა და სხვა კომპანიების მიერ; 5. კერძო პოლიტიკური მიზნები, რისი მაგალითიც აშშ–ს საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვიხილეთ და ა.შ.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ვირუსი საშიშია და მისგან თავის დაცვა საჭიროა ადექვატური სანიტარული და არა დამატერორებელი ზომებით, რომლებიც დიდვადიან პერსპექტივაში განუზომლად უფრო დიდ მსხვერპლსა და სავალალო შედეგებს მოიტანენ.

ჩვენ ვიზიარებთ დიდ მწუხარებას იმ ადამიანების გარდაცვალების გამო, ვინც შეეწირა მსოფლიო მმართველი პოლიტიკურ–ფინანსური ელიტის მიერ ორგანიზებულ ამ "პანდემიას". გარკვეული თვალსაზრისით ისინი დევნულნიცა და წამებულნიც არიან, რაც შეუმსუბუქებს მათ ხვედრს ღმერთის წინაშე. მათ შორის მართლმადიდებლობით აღსრულებელი მართლმკვეთელი ქრისტიანი, დარწმუნებულები ვართ, სასუფეველსაც დაიმკვიდრებს წამებულთა გვერდით. ღმერთმა განუსვენოს მათ და დაგვათმენინოს ჩვენ, მათ ჭირისუფლებს, ჩვენ თავს ანტიქრისტეს წინამორბედების მიერ დატეხილი განსაცდელი.

ა. უნგიაძე

მტკიცებულება, რომ პანდემია დაგეგმილი იყო და რა მიზნებით

გამოქვეყნებულია 30 სექტემბერს 2020წ.

დოქტორ ჯეიმს ფეტცერის წერილის მიხედვით.

გერმანიის 500–ზე მეტი ექიმისაგან შემდგარმა ჯგუფმა, სახელწოდებით "ექიმები ინფორმაციისათვის", ეროვნული პრეს–კონფერენციის დროს შოკის მომგვრელი განცხადება გააკეთა: (1)

"კორონა პანიკა – ეს თამაშია. ეს თაღლითობაა. დადგა დრო გავიგოთ, რომ ჩვენ გაჩაღებული მსოფლიო დანაშაულის პერიოდში ვიმყოფებით".

სამედიცინო ექსპერტების ეს დიდი ჯგუფი ყოველ კვირეულად გამოსცემს სამედიცინო გაზეთს 500 000–ანი ტირაჟით, რათა მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ძირითად საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ. ჯგუფი ასევე ორგანიზებას უკეთებს მასობრივ აქციებს ევროპაში, მაგალითად, 2020 წლის 29 აგვისტოს, როდესაც 12 მილიონი ადამიანი დარეგისტრირდა, ხოლო რამდენიმე მილიონი მოვიდა აქციაზე.

რატომ ამბობს 500 ექიმი, რომ პანდემია – ეს თამაშია? რა იციან მათ და არ ვიცით ჩვენ?

<u>ასობით ესპანელი ექიმი ამბობს, რომ პანდემია დაგეგმილია.</u>

ესპანეთში 600 ექიმისგან შემდგარმა ჯგუფმა სახელწოდებით ”ექიმები სიმართლისათვის” პრეს–კონფერენციის დროს ანალოგიური განცხადება გააკეთა



”COVID-19 – ეს ცრუ პანდემიაა, შექმნილი პოლიტიკური მიზნებისათვის. ეს მსოფლიო დიქტატურაა სანიტარული კუთხით. ვავრცელებთ რა სინამდვილეს, ჩვენ მოვუწოდებთ ექიმებს, მასმედიის

საშუალებებსა და პოლიტიკურ ხელისუფლებებს შეწყვიტონ ეს დანაშაულებრივი ოპერაცია"(2).

გერმანია და ესპანეთი მხოლოდ ორი მაგალითია. ასობით სამედიცინო ექსპერტების მსგავსი დიდი ჯგუფები არსებობენ სხვა ქვეყნებშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

აშშ–ში დოკუმენტულურ პლანდემიას, რომელიც COVID-19–ს დანაშაულებრივ ოპერაციას უწოდებს, მხარს უჭერს 27 000–ზე მეტი ექიმი!

რატომ უწოდებს ათასობით სამედიცინო მუშაკი მთელ მსოფლიოში პანდემიას დანაშაულს? რა ისეთი ინფორმაციაზე აქვთ მათ წვდომა, რასაც ჩვენ ვერ ვიღებთ მასობრივი ინფორმაციის ძირითადი საშუალებებით?

მე მოგიწოდებთ თქვენ მიუკერძოებლად შეხედოთ შემდეგ ფაქტებს, ხოლო შემდეგ საკუთარი დასკვნები გააკეთოთ...

<u>2015 წელს დაიგეგმა ტესტირების მეთოდი... COVID-19–სათვის</u>

2015 წელს რიჩარდ როტშილდმა ნიდერლანდების სამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად დააპატენტა" COVID-19–ის ტესტირების სისტემა და მეთოდი". მიხვდით? 2015 წელს, დაავადების გამოჩენამდე ოთხი წლით ადრე, შემუშავებულ იქნა COVID-19–ის ტესტირების მეთოდი.(2B)

ღრმად ჩაისუნთქეთ და დაუკვირდით...



COVID-19–ის მილიონობით ტესტი გაიყიდა 2017–2018 წლებში.

როგორც ვიცით, ახალი დაავადება COVID-19 2019 წელს გამოჩნდა ჩინეთში. ამიტომ ეწოდა მას COVID-19, რაც არის "Corona Virus Disease 2019"–ის აბრევიატურა. მაგრამ World Integrated Trade–ის მონაცემები რაღაც საკვირველს გვიჩვენებენ:

2017–2018 წლებში, COVID-19–ის გამოჩენამდე ორი წლით ადრე მთელ მსოფლიოში ასობით მილიონი ტესტ–მოწყობილობა გაიყიდა.



ეს გაუგებარი მონაცემები აღმოჩენილი იქნა 2020 წლის 5 სექტემბერს და გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებში. მეორე დღეს ის ვირუსად სახელდეს და გახადეს მთელს მსოფლიოში. 6 სექტემბერს WITS–მა უცბად შეცვალა პირველადი აღნივშნა ”COVID-19” ბუნდოვანი სახელდებით "სამედიცინო ტესტების ნაკრები".

ასეთი სახელდება დაუშვებელია ვაჭრობისთვის, რადგან თქვენ გარკვევით უნდა იცოდეთ მოწყობილობის დანიშნულება. არსებობს უამრავი ნაკრები სხვადასხვა დაავადებისათვის.

ის ფაქტი, რომ მათ მოაშორეს სპეციფიკაცია ”COVID-19” იმის შემდეგ, რაც ეს მონაცემები მთელს მსოფლიოში გახდა ცნობილი, ამტკიცებს, რომ მათ არ უნდოდათ, რომ ვინმეს ცოდნოდა ეს. მაგრამ მათ დაავიწყდათ ერთი დეტალის მოშორება: ამ საქონლის "სამედიცინო ტესტების ნაკრების" კოდი – 300215, რაც აღნიშნავს ”COVID-19–ის ტესტირების ნაკრებს”.

HS Nomenclature used HS 2017
HS Code 300215: COVID-19 Test kits
HS Classification Reference based on Covid-19 medical supplies list 2nd edition, prepared by World Customs Organization (WCO) and World Health Organization (WHO)

<u>მათი დამალვა ძალიან დაგვიანებით მოხდა: ეს მნიშნელოვანი ინფორმაცია ღია გახდა და ხდება მილიონობით ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში. თქვენ შეგიძლიათ გადმოქაჩოთ ამ საიტის საწყისი ინფორმაციის შემცველი PDF ფაილი.</u>

(https://www.stopworldcontrol.com/2017-covid19-testkits.pdf – ლინკიდან ჩვენს მიერ გადმოქაჩული ეს ფაილი (ფოტო 1) იხილეთ ბოლოში – მთარგ. შენიშვნა)



COVID-19 დაავადების აფეთქებამდე 2 წლით ადრე აშშ–ში, ევროკავშირში, ჩინეთში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დაიწყეს მილიონობით დიაგნოსტიკის **საშუალებების ექსპორტი დაავადება... COVID-19 –სათვის, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა.**

”პროექტი” COVID-19 დაგეგმილია 2025 წლამდე.

მსოფლიო ბანკი აჩვენებს, რომ COVID-19 – ეს არის პროექტი, რომლის გაგრძელებაც 2025 წლის მარტის ბოლომდეა დაგეგმილი! ამგვარად, განზრახულია, რომ ის ხუთი წელი გაგრძელდება.(2C)



Country(ies)	Project Name	
World	COVID-19 Strategic Preparedness and Response Program (SPRP)	
Project ID	Financing Instrument	Environmental and Social Risk Classification
P173789	Investment Project Financing	Substantial

Financing & Implementation Modalities

[✓] Multiphase Programmatic Approach (MPA) ... Component (CERC)
[ ] Series of Projects (SOP)
[ ] Disbursement-linked Indicators (DLIs)
[ ] Financial Intermediaries (FI)
[ ] Project-Based Guarantee
[ ] Deferred Drawdown ... made Disaster
[ ] Alternate Procurement Arrangements (APA)

Expected Project Closing Date
31-Mar-2025

Expected Project Approval Date	Expected Project Closing Date	Expected Program Closing Date
02-Apr-2020	31-Mar-2025	31-Mar-2025

Bank/IFC Collaboration
No

ფაუჩიმ ორი წლის განმავლობაში პანდემიის გარანტია მოგვცა

2017 წელს ენტონი ფაუჩიმ ძალიან უცნაური წინასწარმეტყველება გააკეთა კიდევ უფრო უცნაური თვითდაჯერებულობით. ფაუჩიმ სრული თავდაჯერებით განაცხადა, რომ ტრამპის პირველი ვადის განმავლობაში აუცილებლად მოხდება ინფექციური დაავადების აფეთქება. აი, რა თქვა მან:

არ არის კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ არსებული ადმინისტრაციისათვის იქნება ინფექციური დაავადების პრობლემა. იქნება სიურპრიზული აფეთქება. ამაში არავის ეპარება ეჭვი.

(იხ. https://www.businessinsider.com/fauci-warned-trump-infectious-disease-pandemic-danger-2017-2020-4 _მთ.შენიშ.)



როგორ შეეძლო ფაუჩის ტრამპის ადმინისტრაციის პირველი ვადის დროს დაავადების აფეთქების გარანტია მიეცა? რა იცოდა მან ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით?

”შემდეგ ორ წელიწადში იქნება **სიურპრიზული აფეთქება**. ამაში ეჭვი არავის ეპარება”. ენტონი ფაუჩი.

ბილ და მელინდა გეიტსების დაუყოვნებელი გლობალური პანდემიის გარანტია

2018 წელს ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ მოდის გლობალური პანდემია, რომელსაც შეუძლია 30 მილიონი ადამიანის განადგურება. მან თქვა, რომ ეს, სავარაუდოდ, შემდეგ ათწლეულში მოხდება. (4) მელინდა გეიტსმა დაამატა, რომ კაცობრიობისათვის უმეტეს საფრთხეს ხელოვნურად შექმნილი ვირუსი წარმოადგენს და დაგვარწმუნა, რომ უახლოეს წლებში ის დაარტყამს კაცობრიობას. (5)

მოდით, მათმა სიტყვებმა წამიერად ჩვენს თავებში გაიჟღერონ...
მოდის გლობალური პანდემია



ინჟინერული ვირუსი – უდიდესი საფრთხეა კაცობრიობისათვის.
ეს **შემდეგ ათწლეულში** მოხდება.

ბილ და მელინდა გეიტსები.

ისინი ამტკიცებენ, რომ ამ გარდაუვალი პანდემიის გარანტიას მსოფლიოს მჭიდროდ დასახლება იძლევა. მაგრამ მოდით ვიყოთ გულწრფელნი: დედამიწის დიდი ნაწილი დაუსახლებელია. უბრალოდ გადაუფრინეთ ამერიკას და გაიხედეთ ფანჯარაში. დროის დიდი ნაწილის განმავლობაში თქვენ ცარიელ სივრცეს ხედავთ რამდენიმე ქალაქით აქა–იქ. აშშ–ს უდიდესი ნაწილი ისევ ცარიელია. ასევეა მთელ მსოფლიოში. ავსტრალია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ამერიკა, აფრიკა... უმეტეს ნაწილში ეს ველური ბუნებაა. ჩვენი პლანეტა

ისე არ არის დასახლებული, როგორც ეს ბილ გაიტს უნდა რომ ვიფიქროთ. მსოფლიოს რუკა ნათლად უჩვენებს ამას...

დედამიწის უდიდეს ნაწილზე არ არის ადამიანი. ამგვარად იდეა, რომ მსოფლიო ჭარბად არის დასახლებული და ამ მიზეზით პანდემიის გარდაუვალობის ახსნა სიცრუეა.

ბილ გეიტსი ასევე აცხადებს, რომ საჰაერო გადაფრენები აუცილებლად გამოიწვევენ გლობალურ პანდემიას. მაგრამ წინა საუკუნეში თვითმფრინავით ხომ უამარავი ადამიანი დაფრინავდა. გამოიწვია ამან გლობალური პანდემიების აფეთქება? რა თქმა უნდა, არა!

მათი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში გლობალური პანდემია გარანტირებული, მცდარია.

პანდემიის პრაქტიკა

აფეთქებამდე რამდენიმე თვით ადრე ბილ გეიტსმა – მსოფლიოში ვაქცინების ამ უმსხვილესმა დილერმა – ორგანიზება გაუკეთა ღონისძიებას ნიუ–იორკში. აბა, გამოიცანით, რას ეძღვნებოდა მთელი ეს ღონისძიება? ეს იყო "კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული სწავლება". დიახ, თქვენ სწორად წაიკითხეთ:

ბილ გეიტსმა ორგანიზება გაუკეთა კორონავირუსთან დაკავშირებულ პანდემიურ ვარჯიშს ამ პანდემიამდე!

დიდ დისპლეიზე აუდიტორიაში თქვენ ხედავთ დაბეჭდილ ტექსტს: "ჩვენ უნდა მოვემზადოთ მოვლენისათვის, რომელიც პანდემიაში გადაიზრდება". პანდემიასთან დაკავშირებული ეს ღონისძიება სახელდებულ იქნა როგორც "მოვლენა 201" და მიმდინარეობდა 2019 წლის ოქტომბერში, უშუალოდ დაავადების აფეთქების წინ.

ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მთელი კაცობრიობა უნდა იქნას ვაქცინირებული...



”მოვლენა 201”–ის მიზანი იყო მსოფლიოს იმ პანდემიისთვის მომზადება, რომელმაც ამ ღონისძიების შემდეგ იფეთქა.

შემდეგ წელს ვაქცინების გაყიდვასთან დაკავშირებული მღელვარება

ამ "კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ვარჯიშის" შემდეგ ბილ გეიტსმა ტვიტერში დაწერა:

მე განსაკუთრებით აღელვებული ვარ იმით, რომ შემდეგი წელი შეიძლება გახდეს მსოფლიოში ჯანდაცვის სფეროში ერთ–ერთი საუკეთესო ვაქცინების გაყიდვების მხრივ.

დაფიქრდით ამაზე: მსოფლიოში ვაქცინების ნომერ 1 დილერი გარანტიას იძლევა, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში მოხდება გლობალური პანდემია, ხოლო მისმა ცოლმა თქვა, რომ ჩვენ ყველა უნდა ვუფრთხოდეთ ხელოვნურად შექმნილ ვირუსს, რომელიც "უკვე გზაშია". შემდეგ ისინი ორგანიზებას უკეთებენ სწავლებას მომავალ გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებით და ამბობენ, რომ ერთადერთი საშველი ვაქცინები იქნება. შემდეგ ბილ გეიტსი წერს ტვიტერში, თუ როგორი აღელვებულია ის შემდეგ წელს ვაქცინების გაყიდვებთან დაკავშირებით. მალევე ამის შემდეგ გაჩაღდა გამოცხადებული პანდემია.

მართლაც, ბილ გეიტსმა მაშინათვე განაცხადა, რომ კაცობრიობისთვის ერთადერთი ხსნაა იყიდონ მისი ვაქცინები...

2020 კორონავირუსის პანდემიის პროგნოზი გაკეთდა 2013 წელს

ჯერ კიდევ 2013 წელს მუსიკოსმა დაწერა სიმღერა სახელწოდებით PANDEMIC. თავის ტექსტში მან აღწერა გლობალური პანდემია, რომელიც კლავს მილიონებს, ანგრევს ეკონომიკას და იწვევს უწესრიგობებს.

მის სიმღერაში შვიდი წლის წინ ზედმიწევნით დეტალებში არის აღწერილი ის, რასაც ჩვენ დღევანდელ მსოფლიოში ვხედავთ.

მან პანდემიის ზუსტი დროც ახსენა: 2020 წელი, და ვირუსის კონკრეტული სახე: კორონავირუსი. (6) ეს მისი სიმღერის ლექსის სიტყვებია:

2020 წელი CoronaVirus–თან ერთად, ცხედრების დაწყობა.

ამ სიმღერაში ასევე წინასწარმეტყველებაა უწესრიგობების შესახებ, რომელიც ახლა ბობოქრობს ამერიკაში (ეს დაწერილია 2020წ. სექტემბერში – მთარგმნ. შენიშვანა).

"ქვეყანა ბუნტშია, იყენებს რა ქუჩებს. ეს ჩვენს ფანჯრებში შემოდის"



საიდან უნდა სცოდნოდა ამ მუსიკოსს 2013 წელს, რომ 2020 წელს კორონავირუსი იფეთქებდა და რომ ამ პანდემიის დროს უწესრიგობა გაჩაღდებოდა? ის აცხადებს:

"მე დავათვალიერე 2012 წლის გამოკვლევები და წავიკითხე ეგრეთ წოდებული "შეთქმულების თეორიები". ამ თეორიების თანახმად 2020–30 წლებში პანდემია აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ამასთან დაკავშირებით მე დავწერე პანდემიური სიმღერა".

"მოემზადე კორონავირუსის პანდემიისთვის"

2019 წლის სექტემბერში – ასევე უშუალოდ აფეთქების წინ – მზადყოფნის მონიტორინგის გლობალურმა საბჭომ გამოაქვეყნა ანგარიში სათაურით "მსოფლიო საფრთხეშია".

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია მზადყოფნა... კორონავირუსის აფეთქებისთვის!

ანგარიშის ყდაზე ასახულია კორონავირუსი და ადამიანები ნიღბებში.

ანგარიშში ვკითხულობთ შემდეგ საინტერესო აბზაცს:

"გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (WHO-ს ჩათვლით) ატარებს მინიმუმ ორ საერთოსისტემურ სასწავლო და მამოდელირებელ ვარჯიშს, მათ შორის ერთია განგებ გამოთავისუფლებული სასიკვდილო რესპირატორული პათოგენის გაუვნებელყოფის სწავლება".

მიხვდით?

ისინი პრაქტიკულად ემზადებიან საგანგებოდ გამოთავისუფლებული სასიკვდილო რესპირატორული ვირუსისათვის.

<u>**გამოცხადებულია აფეთქება ჩინეთიდან**</u>



2018 წელს დაავადებათა მოდელირების ინსტიტუტმა გადაიღო ვიდეო, რომელშიც ნათქვამია, რომ **გრიპის ვირუსი წარმოშობილია ჩინეთიდან, უხანის რაიონიდან და ვრცელდება მთელს მსოფლიოში,** კლავს რა მილიონობით ადამიანს. მათ ამას "გრიპის გლობალური პანდემიის სიმულატორი" უწოდეს. სწორედ ეს მოხდა ორი წლის შემდეგ. რატომ თქვეს მათ, რომ ეს ჩინეთიდან იქნება? რატომ აფრიკიდან არა, სადაც გაცილებით მეტი დაავადებებია? ან რატომ სამხრეთ ამერიკა ან ინდოეთი არა?

საიდან უნდა სცოდნოდათ მათ, რომ ჩინეთიდან გრიპის ვირუსი მოვა, რომელიც მთელ მსოფლიოს დაასნებოვნებს. მეტიც, დაასახელეს უხანი, როგორც წარმოშობის ადგილი?

<u>იყო ეს კორონავირუსი შემუშავებული?</u>

საიდან მოვიდა ვირუსი? ფრენსის ბოილი არის ბიოლოგიური

იარაღის სფეროში მსოფლიოში ერთ–ერთი წამყვანი ექსპერტი. ის დარწმუნებულია, რომ ვირუსი წარმოიშვა უხანის ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიაში, ბიოლოგიური უსაფრთხოების მე–4 დონის ლაბორატორიაში.

ეს ლაბორატორია კორონავირუსის შემუშავებაზე სპეციალიზდება!

ისინი იღებენ არსებულ ვირუსებს და მათ "იარაღად" გარდაქმნიან, ანუ გაცილებით უფრო საშიშებად აქცევენ მათ იმისათვის, რომ ისინი ბიოლოგიურ იარაღად გამოიყენონ. შემდეგ ორწუთიან ვიდეოკლიპში თქვენ ხედავთ, თუ როგორ ყვებიან პრეზიდენტი ტრამპი და მისი ადმინისტრაცის წარმომადგენელი, ბიოლოგიური იარაღის სფეროს ექსპერტი ფრენსის ბოილი იმის შესახებ, რომ ეს ვირუსი უხანის ლაბორატორიაში წარმოიშვა.

ახლა საინტერესო ამბავი: 2015 წელს ენტონი ფაუჩიმ ამ ლაბორატორიას 3.7 მილიონი დოლარი აჩუქა.

წარმოიდგინეთ: იგივე ადამიანმა, რომელიც უახლოესი ორი წლის განმავლობაში ვირუსის მოულოდნელი აფეთქების გარანტიას იძლეოდა, თითქმის 4 მილიონი დოლარი მისცა ლაბორატორიას, რომელიც კორონავირუსების შემუშავებით არის დაკავებული. მოკლე კლიპში ქვემოთ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, როგორ ეკითხება ჟურნალისტი პრეზიდენტ ტრამპს იმ გრანტის შესახებ, რომელიც ფაუჩიმ უხანის ლაბორატორიას მისცა.
თუმცა უხანში არის სხვა ვარიანტიც იმისა, თუ საიდან შეიძლება წარმოშობილიყო ეს ვირუსი. ზოგიერთი თვლის, რომ ის მოვიდა უხანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტიდან, სადაც ასევე მუშაობენ კორონავირუსის იარაღის შექმნაზე.

<u>ფილმები კორონავირუსის პანდემიას პროგნოზირებენ.</u>

პროგნოზული მოდელირება – ეს არის მოსახლეობის ინფორმირების პროცესი იმ მოვლენებზე, რომლებიც მალე უნდა მოხდეს. უკანასკნელი წლების განმავლობაში გადაიღეს რამდენიმე ფილმი და ტელესერიალი... კორონავირუსის გლობალურ პანდემიაზე!
ფილმში "მკვდარი ჭირი" გამოყენებულია კორონავირუსის გლობალური პანდემია და მეტიც, სამკურნალო საშუალებად წარმოდგენილია ჰიდროქსილხლოროქინი.
სხვა ფილმი სახელწოდებით "დასნებოვნება" აჩვენებს, თუ როგორ ვრცელდება კორონავირუსი მთელ მსოფლიოში და

აღნიშნულია სოციალური დისტანცირება, სახის ნიღბები, ბლოკირებები, ხელების დაბანა და ა.შ.

ზედმიწევნით ყოველივე ის, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, დეტალურად არის ამ ფილმში ნაწინასწარმეტყველები.

<u>პანდემია, რომელიც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე აღმოაჩინეს.</u>

პროგნოზულ მოდელირებასთან დაკავშირებით: 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნის ჩვენების დროს მთელი მსოფლიოს თვალწინ გათამაშდა კორონავირუსის პანდემია.

ათობით საავადმყოფო საწოლები, მედდათა დიდი რაოდენობა, რომლებიც მაკონტროლებელი სისტემის მარიონეტები გამხდარან, სიკვდილი დაბუდებულია გარშემო, დემონური გიგანტი მაღლდება მსოფლიოზე, და მთელი ეს წარმოდგენა ისე იყო გაშუქებული, რომ ციდან ის, როგორც კორონავირუსი, ისე მოჩანდა.

რატომ აჩვენეს ოლიმპიადის გახსნის დროს კორონავირუსის პანდემია?

<u>მსოფლიო ბლოკირება, პროგნოზირებული 2008 წელს.</u>



ავტორმა და მკვლევარმა რობინ დე რუიტერმა 2008 წელს გლობალური იზოლაცია იწინასწარმეტყველა.

მან თქვა, რომ ამის მიზანი ავტორიტარული კონტროლის ახალი მსოფლიოს შექმნა იქნება.

რადგან მრავალი იმისგან, რაც მან 2008 წელს დაწერა, ახლა პირდაპირ ჩვენ თვალწინ ხდება, ეს წიგნი თავიდან გამოსცეს.

ჟურნალისტები გეგმიურ პანდემიას ვარაუდობენ

2014 წელს ჟურნალისტ–მკვლევარმა ჰარი ვოქსმა დაგეგმილი გლობალური პანდემია იწინასწარმეტყველა და თქვა, რატომ აკეთებს "მმართველი კლასი" ასეთ რამეებს:

"ისინი არაფრის წინაშე არ გაჩერდებიან იმისათვის, რათა კონტროლის თავიანთი ინსტრუმენტალი დაასრულონ. ერთ–ერთი იმათთაგანი, რაც მათ არსენალს აკლდა, არის კარანტინი და კომენდანტის საათი. გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ დაასნებოვნონ ასიათასობით ადამიანი და შექმნან კონტროლის შემდეგი ეტაპი"(7).(იხ. https://www.youtube.com/watch?v=WPCkNlmKhOY _ მთ.შენ.)

"გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ასიათასობით ადამიანი დაასნებოვნონ და შექმნან კონტროლის ახალი ფაზა". **ჰარი ვოქსი, ცნობილი ჟურნალისტ–მკვლევარი.**

"მომავლის სცენარი"

ეს ცნობილი მკვლევარი ეყრდნობა როკფელერის ფონდის ცნობილ დოკუმენტს, რომელშიც ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ეხლა ვხედავთ, ზედმიწევნითაა ნაწინასწარმეტყველები

უწვრილეს დეტალებში: გლობალური პანდემია, ბლოკირებები, ეკონომიკის კრახი და და ავტორიტარული კონტროლის დაწესება. ყველაფერი ეს საშინელი სიზუსტითაა აღწერილი... ათი წლით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა!

დოკუმენტი ასეა დასათაურებული: ”მომავალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო განვითარების სცენარი”. (9) ამით ყველაფერია ნათქვამი: **მომავლის სცენარი.** მასში არის თავი ”LockStep”, რომელშიც უწყებულია გლობალური პანდემიის შესახებ, ისე, თითქოს ის წარსულში მოხდა, მაგრამ აშკარად ჩაფიქრებულია როგორც რეპეტიცია მომავლისთვის.

<u>პანდემია 2020 საშინლად დეტალურადაა აღწერილია როკფელერის ფონდის "მომავლის სცენარში", რომელიც 2010 წელსაა დაწერილი.</u>

"მომავლის სცენარი" აგრძელებს ორი განსხვავებული რეაქციის შედარებას მათ მიერ ნაწინასწარმეტყველებ პანდემიაზე: აშშ "დაჟინებით მოითხოვდა" ხალხისაგან, რომ თავი შეეკავებინათ გადაფრენებისაგან, ხოლო ჩინეთმა ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი კარანტინი შემოიღო. სცენარი პირველ ვარიანტს ადანაშაულებენ ვირუსის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებაში, ხოლო მახრჩობელა ბლოკირებას აქებს. შემდეგ აღწერილია ტოტალიტარული კონტროლის განხორციელება:

პანდემიის დროს ნაციონალურმა ლიდერებმა მთელ მსოფლიოში თავიანთი ძალაუფლება გამოავლინეს და შემოიღეს მკაცრი წესები და შეზღუდვები, სახის ნიღბების სავალდებულო ტარებიდან დაწყებული საზოგადოებრივ ადგილებში შესვლისას, როგორიცაა ვაგზლები და სუპერმარკეტები, ტემპერატურის გაზომვით დამთავრებული.

ცხადია, რომ **სასურველი პასუხი** – ეს ავტორიტარულობის გამოვლინებაა. მაგრამ, ამ "მომავლის სცენარის" თანახმად, უარესი ხდება:

"მას შემდეგაც კი, რაც პანდემია მინელდა, ეს გაზრდილი ავტორიტარული კონტროლი და ზედამხედველობა მოქალაქეებსა და მათ საქმიანობაზე შენარჩუნდა და მეტიც, გაძლიერდა.

"განვითარებულ ქვეყნებში ამ გაძლიერებულმა ზედამხედველობამ განსხვავებული ფორმები მიიღო: მაგალითად, პირადობის ბიომეტრული მოწმობები ყველა მოქალაქისათვის და იმ საკვანძო დარგების უფრო მკაცრი



რეგულირება, რომელთა სტაბილურობაც ნაციონალური ინტერესებისათვის სასიცოცხლოდ მნიშნელოვნად ითვლებოდა".

როკფელერის ფონდის თანახმად, გლობალურმა პანდემიამ უნდა მიგვიყვანოს კონტროლის გაძლიერებამდე, როდესაც ადამიანები სიხარულით იტყვიან უარს თავიანთ თავისუფლებაზე, რათა თავი ისევ უსაფრთხოდ იგრძნონ.

<u>გლობალური კონტროლის სახელმძღვანელო</u>

ახლა, როდესაც გამოცხადებული პანდემია მართლაც დადგა, იგივე როკფელერის ფონდი თავისი მეორე ნაბიჯით გამოვიდა: **ცნობარით იმის შესახებ, თუ როგორ დაინერგოს კონტროლის ახალი სისტემები ამ პანდემიის დროს**. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიქმნება მართვის ყველა აუცილებელი ქსელები, მსოფლიო ისევ შეიძლება გაიხსნას.

როდესაც როკფელერის ორ დოკუმენტს აერთიანებთ, თქვენ ხედავთ გეგმას:

1) თავიდან ისინი აცხადებენ კორონავირუსის გლობალურ პანდემიას და ამბობენ, თუ რასთან უნდა მიგვიყვანოს ამან: ***ავტორიტარული კონტროლის სრულიად ახალ დონესთან.***

2) მეორეც, მართვის ამ სისტემისათვის ისინი პარაქტიკულ ნაბიჯებს იძლევიან.

ესაა ილუსტრაციები და ციტატები მათი ცნობარიდან:



"თვალთვალის ციფრული დანართები და პროგრამული უზრუნველყოფა, კონფიდენციალურობით დაცული, ფართოდ უნდა იქნან გამოყენებული კონტაქტების უფრო სრული თვალთვალის უზრუნველსაყოფად".

"იმისათვის, რომ სრულად განხორციელდეს ***Covid-19****–ის კონტროლი, ჩვენ ყოველკვირეულად უნდა მოვახდინოთ მოსახლეობის უმრავლესობის ტესტირება".*



მათი "მომავლის სცენარის" თანახმად მთელი მსოფლიოს მოსახლეობამ უნდა მიიღოს პირადობის ციფრული მოწმობა, რომელიც აჩვენებს, ვინ მიიღო ყველა ვაქცინა. საკმარისი აცრების გარეშე სკოლებში, კონცერტებზე, ეკლესიებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ა.შ. დაშვება აკრძალული იქნება.

ახლა, 2020 წელს, სწორედ ამისკენ მოგვიწოდებენ ბილ გეიტსი და მრავალი მთავრობა.

<u>ყველა კონტაქტი უნდა შემოწმდეს</u>

გაჟონილ სამთავრობო ვიდეოჩანაწერში (10) ჩვენ ვხედავთ საუბარს აშშ–ს ყოფილ პრეზიდენტ **კლინტონსა და ენდრიუ კუომოს**, ნიუ–იორკის შტატის გუბერნატორს, შორის. ისინი ბჭობენ, როგორ შექმნან კონტროლის დიდი სისტემა მთელი მოსახლეობის ტესტირების კონტროლისათვის და მათი ყველა კონტაქტის შემოწმებისათვის. ისინი განიხილავენ, თუ როგორ ააშენონ არმია, რომ მოახდინონ მართვის ამ სისტემის რეალიზება.

(იხ. https://www.youtube.com/watch?v=jldpkGg83XM – მთრგ. შენიშვნა)

”უნდა დაინიშნოს ასობით კონტროლის აგენტი. ისინი შეამოწმებენ ყველას, შემდეგ შეამოწმებენ მათ ყველა კონტაქტს. ასეთი მასშტაბით ეს ჯერ არასდროს გაკეთებულა. ეს არის გამომძიებელთა არმია, რომელიც ყველა კონტაქტს შეამოწმებს”. **ენდრიუ კუომო, ნიუ–იორკის გუბერნატორი.**

<u>გლობალური კონტროლის სრულიად ახალი დონე</u>

ბილ გეიტსმა ასევე გაგვაგებინა, რომ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც გაიკეთეს Covid-19–ის წინააღმდეგ ვაქცინა, უნდა მიეცეთ მოგზაურობის, სკოლაში სიარულის, შეკრებებზე დასწრებისა და მუშაობის უფლება (11). ვაქცინის ციფრული

იდენტიფიკატორები უკვე შემუშავების პროცესშია (12), და გეიტსს აქვს პატენტი ტექნოლოგიაზე, რომელიც ადამიანის სხეულის თვალთვალის საშუალებას იძლევა ნებისმიერ ადგილზე. ამ ტექნოლოგიამ მიიღო WO2020-060606 დასახელება (13). (ფაილის ჩვენეულ ფოტოსურათს (ფოტო 2) ბოლოში გთავაზობთ – მთარგ. შენიშვნა). ამას გარდა, ბილ გეიტსს სურს, შექმნას მონიტორინგის გლობალური ქსელი, ვინც თვალყურს მიადევნებს ყველას, ვისაც ჰქონდა კონტაქტი Covid-19–თან (14).

<u>გეგმა: შეუყვანეთ კაცობრიობას ვაქცინა, რომელიც ცვლის დნმ–ს</u>

ცნობილი ჟურნალისტ–მკვლევარი ენტონი პატჩი წლების განმავლობაში სწავლობდა შექმნილი პანდემიებისა და აუცილებელი ვაქცინაციის საშუალებით მსოფლიოზე კონტროლის გეგმებს. 2014 წელს ინტერვიუს დროს მკვლევარმა იწინასწარმეტყველა შემდეგი:

"ისინი გამოუშვებენ ხელოვნურ კორონავირუსს. შედეგად ადამიანები მოითხოვენ ვაქცინას დაცვისათვის. ეს ვაქცინა ადამიანის სხეულში დაამატებს დნმ–ს მესამე შტამს, არსობრივად მას ჰიბრიდად აქცევს. როგორც კი ადამიანს შეუყვანენ ვაქცინას, თითქმის მაშინვე მისი დნმ ტრანსფორმაციას დაექვემდებარება. ეს გენეტიკური ცვლილება მიგვიყვანს იქამდე, რომ ადამიანები დაკარგავენ დამოუკიდებელი

აზროვნების უნარს, ისე რომ ვერც კი შეამჩნევენ ამას. ამგვარად, ასე უფრო ადვილი იქნება მათი კონტროლი, რათა ისინი ელიტის მონები გახდნენ ".

რა თქმა უნდა, ეს უაზრობად ჟღერს, და მართლაც ეს უაზრობაა. მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს პროფესიონალი მკვლევარი სულელი არ არის. მან გამოკვლევათა წლები განვლო, და ეს არის ის, რაც მან ამ წლების განმავლობაში აღმოაჩინა.

ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა არ უარვყოთ მრავალწლიან გამოკვლევებზე დამყარებული საიმედო ცოდნა, უბრალოდ იმის გამო, რომ ჩვენ არ გვესმის ეს თემები.

<u>20 წლიანი გამოკვლევები ამბობენ: ვაქცინა შეცვლის ჩვენს დნმ–ს.</u>

დოქტორი კერი მედეი ხელმძღვანელობდა ორ მსხვილ კლინიკას ჯორჯიაში, მანამდე, სანამ გაემგზავრებოდა დომინიკის რესპუბლიკაში ჰუმანიტარული სამუშაოს შესასრულებლად. მან შეისწავლა დნმ და ვაქცინები უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში და სასწრაფოდ გადაიღო ვიდეო, რომელშიც გვაფრთხილებს, რომ არსებობს გეგმა,

შეუყვანონ კაცობრიობას ძალიან საშიში ვაქცინა Covid-19–ის წინააღმდეგ. ეს ახალი ვაქცინები ორ მიზანს ისახავენ:

1) ჩვენი დნმ–ს გადაპროგრამირება და ჩვენი გადაქცევა ჰიბრიდებად, რომელთა კონტროლი უფრო ადვილია.
2) ჩვენი მიერთება ხელოვნურ ინტელექტთან ვაქცინის ციფრული იდენტიფიკატორის საშუალებით, რაც ასევე გახსნის კონტროლის ახალ შესაძლებლობებს.

ეს სამედიცინო ექსპერტი ამბობს, რომ ის რამდენჯერმე დააკვირდა, თუ როგორ ვრცელდებიან დაავადებები მოსახლეობაში თვითმფრინავების საშუალებით. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მას არ შეუძლია საუბარი.

დედამიწის დეპოპულირება ორგანიზებული პანდემიების საშუალებით



დოქტორი ჯონ კოულმენი – ცსს–ს (ცსს, იგივე CIA – Central Intelligence Agency – აშშ–ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური – მთარგ. შენ.) დაზვერვის ცნობილი ყოფილი ოფიცერი, რომელმაც დაწერა წიგნი "300–თა კომიტეტი". მასში ის გვიხსნის, თუ როგორ ახდენენ საიდუმლო საზოგადოებები მთავრობების, ჯანდაცვის, კვების მრეწველობის, მასმედიისა და სხვა საშუალებების მანიპულირებას. ეს წიგნი შეიძლება იპოვოთ CIA–ს საიტზე (15).

მრავალი საიდუმლო საზოგადოების, კონტროლირებადი მთავრობებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ერთ–ერთი ძირითადი გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გააუკაცრიელონ დედამიწა.

მათი სტრატეგიის შესახებ დოქტორი კოულმანი შემდეგს ამბობს:

"სულ მცირე, 4 მილიარდი მუქთამჭამელი განადგურდება 2050 წლისათვის შემოზღუდული ომებისა და სწრაფმოქმედი მომაკვდინებელი დაავადებების ორგანიზებული პანდემიების საშუალებით..."

დოქტორი ჯონ კოულმენი,
ცსს –ს ყოფილი ოფიცერი

<u>შევინარჩუნოთ 500 მილიონიანი კაცობრიობა</u>

1980 წელს ჯორჯიის შტატში დაიდგა გრანიტის ძეგლი, რომელსაც გზამკვლევი ქვები დაარქვეს. 10 სახელმძღვანელო პრინციპისაგან შემდგარი ტექსტი სტრუქტურაზე 8 თანამედროვე ენაზეა ამოტვიფრული, ხოლო ყველაზე მოკლე უწყება ამოტვიფრულია სტრუქტურის ზედა ნაწილში ოთხი უძველესი დამწერლობით. პირველი პრინციპი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. შეინარჩუნეთ კაცობრიობა 500000000 ადამიანის ოდენობით ბუნებასთან მუდმივ წონასწორობაში.

ცსს–ს ყოფილმა ოფიცერმა დოქტორ კოულმენმა აჩვენა, რომ მათი ერთ–ერთი მეთოდია "კაცობრიობის შენარჩუნება" – ესაა "მომაკვდინებელი სწრაფადმოქმედი დაავადებების ორგანიზებული ეპიდემიების" გამოწვევა.

<u>ვაქცინის გამოყენება კაცობრიობის შესამცირებლად.</u>



TED–ზე გამოსვლის დროს ბილ გეიტსმა გაიმეორა ეს მიზანი, კერძოდ თქვა, რომ ახალი ვაქცინები შეიძლება გამოვიყენოთ მსოფლიო მოსახლეობის შესამცირებლად 10–15%–ით.

"ახლა დედამიწაზე 6.7 მილიარდი ადამიანია, ხოლო მალე 9 მილიარდი იქნება. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ეს რიცხვი ათი–თხუთმეტი პროცენტით შევამციროთ, თუკი კარგად ვიმუშავებთ ახალ ვაქცინებზე, სამედივინო მომსახურებასა და შობადობის კონტროლზე".

ბილ გეიტსი, ვაქცინის დილერი

<u>ვაქცინა Covid–19 მოსახლეობიოს კონტროლისათვის?</u>

მაიკ ადამსი არის ცნობილი მეცნიერ–დიეტოლოგი, სამეცნიერო–პოპულარული წიგნის – "საკვები პროდუქტების სასამართლო ექსპერტიზა" – ავტორი და ISO ლაბორატორიის CWC Labs–ის დამფუძნებელი. მრავალი წლის წინ მან თქვა შემდეგი:

შემუშავებული ბიოლოგიური იარაღი გაშვებული იქნება დასახლებულ პუნქტებში. იქნება მოწოდებები ვაქცინის შესამუშავებლად ვაქცინის ინდუსტრიის უზარმაზარ სახელწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით. ჯადოსნური ხერხით ვაქცინა რეკორდულად მცირე დროში იქნება შემუშავებული. ყველანი რიგში უნდა ჩადგნენ და აცრა გაიკეთონ.

მართლაც, სახეზეა კონსტრუირებული ბიოლოგიური იარაღი, რომელსაც მოსდევს ვაქცინის გამოშვების მანდატი, ვაქცინების წარმოების მასობრივი სახელმწიფო დაფინანსება და ვაქცინა, რომელიც რეკორდულ დროში შემუშავდა.

მისი გზავნილის დანარჩენი ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ვაქცინა ნელ–ნელა, რამდენიმე წლის განმავლობაში მოკლავს მილიონობით – თუ მილიარდობით არა – ადამიანის. ეს იქნება ვაქცინა–მკვლელი, განკუთვნილი მსოფლიოს მოსახლეობის შესამცირებლად.

დასკვნა:
იყო თუ არა პანდემია დაგეგმილი?

ათასობით ექიმი უწოდებს პანდემიას გლობალურ დანაშაულს და მსოფლიო დიქტატურას სანიტარული რეჟიმის საფარველის ქვეშ.

Covid-19 მსოფლიო არენაზე გამოვსვლამდე ორი წლით ადრე, სანამ ევროკავშირმა, აშშ–მა, ჩინეთმა და სხვა ქვეყნებმა დაიწყეს ათეულ მილიონობით Covid-19–სათვის განკუთვნილი ტესტირების მოწყობილობების ექსპორტი.

2013 წელს მუსიკოსი კორონავირუსის პანდემიას წინასწარმეტყველებს და ამბობს, რომ ეს 2020 წელს მოხდება. მან ეს იცოდა ე.წ. ”შეთქმულების თეორიის” მასალების პირადი კვლევის წყალობით.

2017 წელს ენტონი ფაუჩი გარანტიას იძლეოდა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის ვადის დროს მოხდებოდა ინფექციური დაავადების აფეთქება.

ზუსტად კორონავირუსის პანდემიის აფეთქების წინ ბილ გეიტსმა ორგანიზება გაუკეთა კორონავირუსის პანდემიის გლობალურ სწავლებას.

ზუსტად აფეთქების წინ "მზადყოფნის მონიტორინგის გლობალურმა საბჭომ" მსოფლიოს უთხრა, რომ ის მზადაა კორონავირუსის პანდემიისთვის.

2018 წელს დაავადებათა მოდელირების ინსტიტუტმა განაცხადა გრიპის ვირუსის გლობალური პანდემიის შესახებ, რომელიც წარმოშობით ჩინეთის უხანის რეგიონიდანაა.

2018 წელს ბილ და მელინდა გეიტსებმა განაცხადეს, რომ უახლოეს წლებში ხელოვნური ვირუსის გლობალური პამდემია მოხდებოდა.

კორონავირუსი SARS-CoV-2 შეიქმნა უხანის მე–4 დონის უსაფრთხოების ლაბორატორიაში, რომელმაც ენტონი ფაუჩისაგან მილიონობით დოლარი მიიღო.

პანდემიამდე გამოშვებულ რამდენიმე ფილმში კორონავირუსის პანდემია დაწვრილებით არის აღწერილი და ჰიდროქსილქროლოქინი პრეპარატადაც კი არის დასახელებული.

2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნაზე კორონავირუსის პანდემიის სცენა გათამაშდა.

ჟურნალისტ–მკვლევარმა ჰარი ვოქსმა 2014 წელს იწინასწარმეტყველა, რომ იქნება გლობალური პანდემია ისე, რომ ”მმართველი კლასი” შეძლებს უფრო მაღალი დონის ავტორიტარული კონტროლის დამყარებას.

ჟურნალისტ–მკვლევარმა ენტონი პატჩმა ხელოვნური ვირუსით გამოწვეული გლობალური პანდემია იწინასწარმეტყველა, რომელიც გამოყენებულ იქნება იმისთვის, რომ კაცობრიობამ მიიღოს ვაქცინა, რომელიც ცვლის დნმ–ს.

დოქტორი კერი მედეი ათეული წლების განმავლობაში სწავლობდა დნმ–სა და ვაქცინებს და ამბობს, რომ გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ Covid-19–ის ვაქცინა გამოიყენონ იმისათვის, რომ აამოქმედონ ტრანსჰუმანიზმის პროგრამა: მოხდეს ადამიანის დნმ–ს გადაპროგრამირება.

ცსს –ს ყოფილმა ოფიცერმა ჯონ კოულმენმა შეისწავლა საიდუმლო საზოგადოებები და ამბობს, რომ მათი გეგმა დედამიწის გაუკაცრიელებაა მომაკვდინებელი სწრაფმოქმედი დაავადებების პანდემიების ორგანიზებით.

ჯორჯიის შტატში 1980 წელს დადგეს უზარმაზარი ძეგლი, რომელზეც ამოტვიფრულია 10 სახელმძღვანელო პრინციპი რვა ენაზე კაცობრიობისთვის. ამ ”10 აღთქმიდან” პირველი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა კაცობრიობის ნახევარ მილიარდ ადამინამდე შემცირება.

TED–ზე გამოსვლისას ბილ გეიტსმა თქვა, რომ ახალი ვაქცინების საშუალებით შეიძლება მოსახლეობის 10–15%–ით შემცირება.

”ჯანდაცვის რეინჯერმა” მაიკ ადამსმა მრავალი წლის წინ იწინასწარმეტყველა ის, რასაც ჩვენ ეხლა ვხედავთ: მოდიფიცირებული ბიოლოგიური იარაღი, რომელსაც მოჰყვა ვაქცინის გამოშვების მანდატი, ვაქცინის ინდუსტრიის მასობრივი სახელმწიფო დაფინანსება და ვაქცინა, რომელიც რეკორდულად მოკლე ვადებში შემუშავდა. მან ასევე იწინასწარმეტყველა, რომ ეს ვაქცინა რამდენიმე წლის განმავლობაში უამრავ ადამიანს მოკლავდა.

2010 წელს როკფელერის ფონდმა გამოაქვეყნა ”მომავლის სცენარი...”, რომელშიც აღწერილია მომავალი გლობალური პანდემია, რომელმაც ადამიანებზე ავტორიტარული კონტროლის განხორციელებასთან უნდა მიგვიყვანოს, რაც პანდემიის შემდეგ გაძლიერდება.

2020 წელს როკფელერის ფონდმა გამოსცა სახელმძღვანელო მსოფლიოზე კონტროლის შექმნასთან დაკავშირებით, ყოველი ნაბიჯის აღწერით. ფონდის წარმომადგენლები ამბობენ, რომ

ცხოვრება ვერ დაუბრუნდება ნორმალურ სახეს მანამ, სანამ მსოფლიო არ იქნება ავტორიტარული მთავრობის მიერ ზემოდან ქვემოთ "ბლოკირებული" ამ კონტროლით.

ჩვენ ნამდვილად ვხედავთ, რომ ბილ გეიტსი და მრავალი სხვა ადამიანი მთელ მსოფლიოში მყისვე იტაცებს კონტროლს დაუნდობელი საშუალებებით, შემოაქვთ რა მოქმედებაში ვაქცინის საიდინტეფიკაციო მონაცემები, მიკროჩიპები, რომლებიც ინპლანტირებული იქნება ადამიანებში, პირბადეების ტარების, სოციალური დისტანციის დაცვის, იძულებითი ბლოკირებების, კონტაქტების უკიდურესი თვალთვალისა და სხვა მოთხოვნებით.

ამ კონტროლის ნაწილი არის ყოველი იმ ექიმის, მეცნიერის ან სხვა ექსპერტის ხმის ხისტი ცენზურა, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს აკრიტიკებენ.

მითითებული წყაროები

1: German group of Doctors For Information
2: Spanish group of Doctors For Truth
2B: Richard Rothshild patented a testing method for COVID-19 in 2015
2C: World Bank shows planned end date of project COVID-19
3: Fauci guarantees an outbreak with the next two years.
4: Bill Gates announced a global pandemic
5: Melinda Gates says humanities greatest threat is an engineered virus
6: Lyrics of 2013 song that predicted coronavirus pandemic in 2020
7: Harry Vox predicted the global pandemic
8: Robin de Ruiter predicted lockdowns
9: Scenario for the future described global pandemic
10: Andrew Cuomo talks with Bill Clinton about authoritarian control
11: Bill Gates talks about a digital ID to control people
12: Linking vaccines to a digital ID
13: Gates has pattent on technology to trace a body anywhere
14: Gates wants a global monitoring system
15: Download the book of CIA officer Coleman
16: Gates talks about reducing world population using vaccines
17: Tens of millions of Covid-19 test kist were exported by the EU, USA, China etc in 2017 and 2018
18: DAVOS and the gathering of the globalists
19: The head of the World Health Organization is member of violent terorrist group
20: Letter from archbishop and cardinals to humanity

პირველწყარო:

https://madisonarealymesupportgroup.com/2020/09/30/proof-that-the-pandemic-was-planned-with-purpose/?fbclid=IwAR1oDNoYIt-62w9E4SxSdsdHrSgQI9rwqUCrGx5tNnL_oFmQyqv4JvxxXE4



National Covid-19
Testing Action Plan
Learning from the
response, our work, our
lives and our communities
The
ROCKEFELLER
FOUNDATION


SIMULATION
GLOBAL FLU PANDEMIC
MONTH 3
TOTAL DEATHS
10,120,312


De komst van de Transitie
CORONACRISIS
Het einde van ons individueel
zelfbeschikkingsrecht is nabij


MAINTAIN HUMANITY UNDER 500,000,000
IN PERPETUAL BALANCE WITH NATURE